

**საქართველოს მენიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდიუმის
გაფართოებული სესიოა, 2007 წლის 12 ოქტომბერი**

ბატონებო, ძვირფასო კოლეგებო,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, «საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის» საპატიო აკადემიკოსი უწმიდესი და უნეტარესი ილია II აყენებს ჩვენი აკადემიის წინაშე საკითხს მისი ყოვლადუწმიდესობის, მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოს I «ეროვნული აკადემიის» უცხოელ საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

მისი ყოვლადუწმიდესობა მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I ჩამოღის საქართველოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.



მსოფლიო პატრიარქი, მისი ყოვლადუწმიდესობა ბართლომეოს არის სულიერი წინამძღოლი 250 მილიონამდე მორწმუნე მართლმადიდებელი ადამიანისა; დღიდან მისი მსოფლიო პატრიარქად აღსაყდრებისა 1991 წელს, მისი ყოვლადუწმიდესობის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანია დიალოგის წარმოება ქრისტიანულ, ისლამურ და ებრაულ სამყაროებს შორის, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე აბოთქრებულ სამყაროში. ეს ერთგვარად იგივე საქმიანობაა, რასაც ეწევა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II კულტურათა და ცივილიზაციათა შორის დიალოგის განხორციელების თვალსაზრისით, საპირისპიროდ მსოფლიოში გავრცელებული თეზისისა „ცივილიზაციათა შეტაკების“ შესახებ.

მსოფლიო პატრიარქის მაღალ მისიას წარმოადგენს მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების საქმიანობის კოორდინაცია და ჰარმონიზაცია, ისეთი ეკლესიების, როგორცაა ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის და ბულგარეთის, კვიპროსის, საბერძნეთის, პოლონეთის, ალბანეთის, ჩეხეთისა და სლოვაკიის, ფინეთისა და ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიები.

მსოფლიო პატრიარქის განსაკუთრებული ყურადღების საგანია აგრეთვე გარემოს დაცვის პრობლემები, განსაკუთრებით შაგი წღვის რეგიონისა, რის გამოც მას „მწვანე პატრიარქი“ შეარქვეს.



მთელი ამ საქმიანობისათვის, რომელიც მოიცავს რელიგიური თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს, მსოფლიო პატრიარქს გადაეცა ჯილდოდ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ოქროს მედალი; *მსოფლიო პატრიარქი, მისი ყოვლადუწმიდესობა* გახლავთ ამასთანავე გამორჩენილი მეცნიერთეოლოგი, მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი... *მისი ყოვლადუწმიდესობის, მსოფლიო პატრიარქის* არჩევა ჩვენს აკადემიაში *უცხოელ საპატიო წევრად* დიდი პატივი იქნებოდა არა მხოლოდ თვით მსოფლიო პატრიარქისათვის, არამედ «საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვისაც».

მე ვაყენებ წინადადებას მსოფლიო პატრიარქის, მისი ყოვლადუწმიდესობის ბართოლომეოს I არჩევის თაობაზე «საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის» უცხოელ საპატიო წევრად.

. . .



**მოსწავლე ასალგაზრდობის სასახლის სარეკონსტრუქციო
დარბაზი
საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სსიპი,
2007 წლის 16 ოქტომბერი**

*თქვენო ყოვლადუწმიდესობაჲ მსოფლიო პატრიარქო,
თქვენო უწმიდესობაჲ სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქო,
ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავარნო,
ქალბატონებო და ბატონებო,*

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო
აკადემიკოსმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მსოფლიო
პატრიარქი მისი ყოვლადუწმიდესობა ბართოლომეოს I წარადგინა
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში უცხოელ
საპატიო წევრად ასარჩევად.*

ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე *მსოფლიო
პატრიარქი, მისი ყოვლადუწმიდესობა ბართოლომეოს I* ერთმად
იქნა არჩეული აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად, როგორც
საერთაშორისო მართლმადიდებლური სამყაროს სულიერი წინამძღოლი,
როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა შორის დიალოგისა და
თანამშრომლობის აქტიური ხელშემწყობი, რისთვისაც მას მრავალი
საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის *ამერიკის კონგრესის
ოქროს მედალი*, როგორც გამომჩენილი მეცნიერი-თეოლოგი მრავალი
უნივერსიტეტისა და სამეცნიერო დაწესებულებების საპატიო დოქტორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გაამწადა
სათანადო საპატიო დიპლომი; ნება მომეცით გადავცე *ეს დიპლომი*
და ჩვენი აკადემიის საიუბილეო მედალი *აკადემიის უცხოელ
საპატიო წევრს* მის ყოვლადუწმიდესობას მსოფლიო პატრიარქს
ბართოლომეოს I.
